

## ბსუ-ს სტუდენტთა გზამკვლევი

### III თავი

#### სწავლის საფასურის გადახდა - ადმინისტრაციული რეგისტრაცია

(განახლებული რედაქცია - სექტემბერი, 2022 წ)

ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდასთან (ადმინისტრაციულ რეგისტრაციასთან) დაკავშირებული რეგულაცია მოცემულია ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „სწავლის საფასურის გადახდის წესში“ (წინამდებარე გზამკვლევის დანართი 3).

ბსუ-ს სტუდენტი ვალდებულია ყოველ სასწავლო სემესტრში ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია - გადაიხადოს სწავლის წლიური საფასურის ნახევარი (გარდა იმ სტუდენტისა, რომელმაც მოიპოვა 100%-იანი სასწავლო გრანტი/სამაგისტრო გრანტი ან პროგრამული დაფინანსება ან სოციალური დახმარება/გრანტი)

„სწავლის საფასურის გადახდის წესის“ თანახმად, შესაბამისი სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის გათვალისწინებით, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განისაზღვრება სემესტრული სწავლის საფასურის გადახდის ვადები (მათ შორის ნაწილ-ნაწილ, ეტაპებად გადახდის შესაძლებლობა და ყოველ ეტაპზე გადასახდელი ოდენობა).

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის N36 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის განსაზღვრის წესის“ (წინამდებარე გზამკვლევის დანართი 29) მიხედვით, ბსუ-ში უცხო ქვეყნის მოქალაქის/მოქალაქეობის არმქონე პირის ჩარიცხვის (სტუდენტის სტატუსის მოპოვების) შემდეგ საქართველოს მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში, სტუდენტის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე, სწავლის წლიური საფასური სტუდენტს განესაზღვრება შესაბამის პროგრამაზე საქართველოს მოქალაქისათვის განსაზღვრული ოდენობით, შემდეგნაირად:

ა) მიმდინარე სემესტრიდან - თუკი საქართველოს მოქალაქეობის მიღების აქტი გამოიცა 1 ნოემბრამდე და შემოდგომის სემესტრში წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია ან თუკი საქართველოს მოქალაქეობის მიღების აქტი გამოიცა 1 აპრილამდე და გაზაფხულის სემესტრში წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია;

ბ) მომდევნო სემესტრიდან - თუკი საქართველოს მოქალაქეობის მიღების აქტი გამოიცა 1 ნოემბრიდან და შემოდგომის სემესტრში წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია ან თუკი საქართველოს მოქალაქეობის მიღების აქტი გამოიცა 1 აპრილიდან და გაზაფხულის სემესტრში წარმოდგენილია სტუდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია.

სამართლებრივი აქტები აკადემიურ და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების, ასევე სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის შესახებ, ქვეყნდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე - [www.bsu@edu.ge](http://www.bsu@edu.ge) (ველში - „სწავლა“, „აკადემიური კალენდარი“).

აკადემიური ან/და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელი გამო სტუდენტის სტატუსის შეჩერების ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ რექტორის ბრძანება, ასევე ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ რექტორის ბრძანება ქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდზე [www.bsu@edu.ge](http://www.bsu@edu.ge) (ველში - რექტორის ბრძანებები), ასევე სტუდენტთა ინფორმირების მიზნით ვრცელდება ბსუ-ს პორტალის მეშვეობით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით ან/და ინდივიდუალურად ეცნობება შესაბამის სტუდენტს.

**შენიშვნა: 2022-2023 სასწავლო წლისათვის აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადები დადგენილია შემდეგი სამართლებრივი აქტებით:**

1. „2022 -2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 05 აგვისტოს N01-02/196 ბრძანება;
2. „ბსუ-ს 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 ივლისის N06-01/55 დადგენილება.